საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №111/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 19 აპრილის №-- საჩივრის საფუძველზე "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^5 - მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის -- №-- გადაწყვეტილებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- -- -- წლის -- -- განთავისუფლებულ იქნა მოსამართლის თანამდებობიდან (უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო).

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა შეწყდეს, თუ „მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება."

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, არ წარმოადგენს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით

განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული მოსამართლის მიმართ, ვინაიდან, არ არსებობს -- --, როგორც მოსამართლის მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების საფუძველი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №111/18, ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი